ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №786595

ნომერი: AR1145774

თარიღი : 10.07.2013

გაცემის თარიღი : 12.07.2013

გაცნობის თარიღი : 15.07.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ფეიქრები , N 14 , (ნაკვ. N004/011) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ფეიქრები , N 14 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ხიზანიშვილი პ/ნ 01022009568
- თბილისი დ.გურამიშვილის გამზ. N 39ვ ბ. 71

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი # AR1145774 10.07.2013 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთები საკადასტრო კოდით #01.11.19.004.011 და #01.11.19.004.019 დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი-რუკის მიხედვით მდებარეობს სამრეწველო ზონა 1–ში (ს–1) – სამრეწველო ზონა, სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები; შესაძლებელია სამრეწველო ზონა 1 (ს-1)-ის ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი საზოგადოებრივი შენობების/სამყოფების არსებობა კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნულ ზონას ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები არა აქვს დადგენილი.

ამასთან გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით #01.11.19.004.011 სამსახურის მიერ შეთანხმებულია საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტის (საწყობი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და დღევანდელი მდგომარეობით სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების თაობაზე, ხოლო მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით #01.11.19.004.019 სამსახურის მიერ ავტოტექმომსახურების ობიექტის ასაშენებლად დადგენილია #499465 16.01.2013 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

ვინაიდან #01.11.19.004.011 განთავსებულია მშენებარე ობიექტი, რომელიც არ არის ექსპლუატაციაში მიღებული მიწის ნაკვეთების გაერთიანების შემთხვევაში თავდაპირველად მოთხოვნა უნდა დააყენოთ #499465 16.01.2013 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაუქმებაზე (მოთხოვნა უნდა დააყენოს აღნიშნული ადმინისტრაციული აქტის მფლობელმა ან მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ) ხოლო მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის, ფართობის, საკადასტრო მონაცემების და სურვილის შემთხვევაში ახალი საპროექტო ობიექტის/ობიექტების დამატებით ცვლილება უნდა მოითხოვოთ #434 19.05.2008 (ცვლილება #3729 03.08.2010) ქალაქთმშენებლობითი პირობებსა და შესაბამის სამშენებლო დოკუმენტაციაში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.